პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 სექტემბერი პარასკევი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 210 (15727)

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

პარტიულ ორგანიზაციებში იწყება ანგარიშგება-არჩევნების კამპანია. განვლილი პერიოდის მუშაობის შედეგებსა და თავიანთ მორიგ ამოცანებს განიხილავენ პარტჯუფები, ხაამქრო და ბრიგადადი ორგანიზაციები. პირველად სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ ანგარიშს ჩაბარებს პარტიული კომიტეტების ახალშეკრული უმრავლესობა, რომლებსაც, პარტიის წესდების შესაბამისად ორი-სამი წლით აირჩევენ.

ანგარიშგება-არჩევნები მუდამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა კომუნისტთა ცხოვრებაში. ახლა ისინი მიმდინარეობენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე XXIV პარტიული ყრილობის კურსის. მის მიერ შემუშავებული ჩვენი ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების და კულტურის ამაღლების პროგრამის, წარმატებით განხორციელების ვითარებაში. თვითეული კოლექტივი მუშობს გეგმებითა და ვალდებულებებით, რომლებიც ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ. საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და კონფერენციების უმნიშვნელოვანესი მიზანია იმის საფუძვლიანად განხილვა, თუ როგორ სრულდება ეს გეგმები და ვალდებულებანი, რა არის საჭირო საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

„ჯეროვნად ვაფასებთ რა მიღწეულს, ამასთან ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხუთწლედის დარჩენილ წლებში უნდა გავაკეთოთ ეს-მაზე მეტი. რაც უკვე გაკეთებულია, და არა ნაკლები. — თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზეიმო კრებაზე. — ჯერ კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი უნდა ვიშრომოთ, რათა მივაღწიოთ მიჯნებს, რომლებიც პარტიამ დასახა 1975 წლისათვის...“ ამ საქმეში უდიდესი როლი ეკუთვნით პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს — შრომითი კოლექტივების საბრძოლო ბირთვს.

ჩვენს პარტიაში ახლა 379 ათასამდე პირველადი, 378 ათასი საამქრო ორგანიზაცია და 480 ათასი პარტიული ჯგუფია. ისინი მოქმედებენ ძახების შუაგულში. იქ, სადაც პრაქტიკულად წყდება კომუნისტური მშენებლობის ამოცანები. მათს მუშაობაში არის თავისებურებანი, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ დარგის სპეციფიკასთან. მაგრამ რიმელ კოლექტივზეც უნდა წარმოებდეს საუბარი, მის საქმეებზე პარტიული გავლენის გაძლიერება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კომუნისტების იმ უნარზე, რომ ღრმად გააანალიზონ მიღწეულის შედეგები და შემდგომი პერსპექტივები. გამოყენებული ფორმებისა და მეთოდების ნაყოფიერება. წლევანდელი ანგარიშგება-არჩევნები ახალი ხერხიოსული ეტაპი იქნება ამ მრავალმხრივ საქმიანობაში.

რა განსაზღვრავს დღეს მაგალითად, კომუნისტთა უპირველეს საზრუნავს სამრეწველო საწარმოში? ამას განსაზღვრავს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საჭიროება, თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება. სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულება. პრობლემების წრე აქ ფართოდ ვრცელია, და საჭიროა საანგარიშო კრებაზე გამოიყოს სწორედ ის საკითხები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ კოლექტივისათვის. მათ შორის შეიძლება იყოს მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დაჩქარებული დანერგვა და ადამიანთა პროფესიული კვალიფიკაციის ზრდა, მოწინავეთა გამოცდილების ყოველნაირად გავრცელება და შრომის დისციპლინის განმტკიცება.

კოლექტივის ძირითადი მიჯნებით ხუთწლედში ნაკარნახევია ყოველი პარტიული ორგანიზაციის ამოცანები. ამასთან დიდი მნიშვნელობა აქვს უნარიანად შეავახამოთ ერთმანეთთან მიმდინარე და პერსპექტიული მუშაობა, ორგანული კავშირით განვიხილოთ დღევანდელი და ხვალინდელი საქმენი. ბუნებრივია, რომ სოფლის კომუნისტთა ყურადღების ცენტრშია მოსავლის აღება და დამზადების წარმატებით დამთავრების ღონისძიებანი. მთელ ძალღონეს რაზმავენ რა ამ დამკვრელური ამოცანის გადაწყვეტისათვის. პარტიულმა ორგანიზაციებმა ამასთან უნდა იფიქრონ მიწათმოქმედების და მეცხოველეობის შემდგომ ინტენსიფიკაციაზე.

ამასთან დაკავშირებით. რომ მიიღეს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება. კომუნისტებს ახლა გაცილებით ფართო შესაძლებლობანი აქვთ, რათა ჯანლონა მოახდინონ სამეცნიერო, სახსავლო. კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობის გაუმჯობესებაზე. იმისადმი კონტროლი, თუ როგორ უზრუნველყოფს ამბრატი პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებას. პარტიული ორგანიზაციების პასუხსაგები მოვალეობაა მართვის სისტემაში. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე საჭიროა უფრო ყურადღებით განვაზოგადოთ პარტიული კონტროლის უზრუნველყოფის პრაქტიკა, დავსახოთ მისი ეფექტიანობის ზრდის კონკრეტული გზები.

პარტიული ორგანიზაციის ძალა, კომუნისტთა აქტივობა, იდეურობა, დისციპლინიანობაა. წლევანდელი ანგარიშგება-არჩევნები ემთხვევა პარტიული დოკუმენტების გამოცვლის პერიოდს. რომელშაც ხელი უნდა შეიწყოს პარტიის წევრის წოდებისა და მნიშვნელობის კიდევ უფრო ამაღლებას. ამ დიდმნიშვნელოვან ორგანიზაციულ-პოლიტიკურ კამპანიასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების ქმედითობას სჭირდება გულდასმითი კოლექტიური შესწავლა. რათა გამოვიტანოთ გაკვეთილები მომავლისთვის იქაც, სადაც გამოცვლა უკვე დამთავრდა. და იქაც, სადაც გამოცვლისათვის ახლა იმზადებიან. საჭიროა კიდევ ერთხელ შევიხსენოთ, თუ როგორ ასრულებს თვითეული პარტიული თავის მოვალეობას, როგორ ახორციელებს ავანგარდულ როლს საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ანგარიშგება-არჩევნების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კომუნისტთა, ყველა მშრომელთა იდეური წრთობის საკითხებს. თანამედროვე პირობებში ამ საკითხებს ოფრო საფუძვლიანად უნდა ვუდგებოდეთ. ამოცანა ის არის, რომ ბეჯითად ვაუმჯობესებდეთ იდეოლოგიურ მუშაობას, ვეწეოდეთ მას ჩვენი ადამიანების კულტურის გაზრდილი დონისა და ფართო ინტერესების გათვალისწინებით. საკადრის პასუხს ვაძლევდეთ უცხო იდეოლოგიის ხრიკებს. სწორედ ასეთი თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ კომუნისტთა პოლიტიკური სწავლების. პროპაგანდისა და აგიტაციის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

კრებისა თუ კონფერენციის საქმიან შედეგს განსაზღვრავს ის, თუ როგორ არის მომზადებული ისინი. განხილვას ტონს აძლევს საანგარიშო მოხსენება. და საჭიროა, რომ იგი იყოს არა ერთი ადამიანის — პარტიული ორგანიზაციის მდივნის შემოქმედება, არამედ ჭეშმარიტად კოლექტიური კვლევის შედეგი. რომ იგი შეიცავდეს არა მარტო საწარმოო მაჩვენებლებისა და ჩაბარებული ღონისძიებების ჩამოთვლას, არამედ მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების ღრმა ანალიზს. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს კრებაზე უზრუნველყოთ ისეთი თვალთახედვა. რომლის დროს თვითეული კომუნისტს შეუძლია გულახდილად გამოთქვას თავისი აზრი პარტორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელი ორგანოს მუშაობის შესახებ. გაუზიაროს დამსწრეთ აზრები და წინადადებანი.

ანგარიშგება-არჩევნები მუდამ უნდა იყოს პარტიის რაიკომების, საქალაქო კომიტეტების თვალთახედვის არეში. კრებებსა და კონფერენციებზე გაშუქებული კოლექტიური გამოცდილების განზოგადება პარტიული კომიტეტებს ხელს შეუწყობს უჯეთ დაინახონ პირველადი ორგანიზაციებისადმი თავისი ხელმძღვანელობის ძლიერი და სუსტი მხარეები.

ამრიგად, დღის წესრიგშია ანგარიშგება-არჩევნები. ეს არის დიდი ერთობლივი მუშაობის დრო. რომელიც გავლენას მოახდენს პარტიული კოლექტივის ყველა საქმესა და გეგმაზე. დაე ნამდვილად შემოქმედებითი, ნაყოფიერი იყოს იგი თვითეული ორგანიზაციისათვის!

ПРАВДА

6 სექტემბერის მოწინავე

გულითადი მადლობა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა უამრავი წერილი და დეპეშა მიიღო საბჭოთა ადამიანებისაგან, მშრომელთა მთელი კოლექტივებისაგან, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების მოძმე პარტიებისაგან, ყველა კონტინენტის სახელმწიფო მოღვაწეებისა და ცალკეული მოქალაქეებისაგან. ამ მეგობრულ წერილებში მაღალი შეფასება ეძლევა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს კურსს საერთაშორისო ასპარეზზე, ისინი იწონებენ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია დაძაბულობის შემდგომი შენელება და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცება. ამასთან გულთბილი მისასალმებელი სიტყვები მომდის პირადად მეც, კერძოდ, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის მონიჭების გამო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ჩემი სახელით გულითად მადლობასა და დიდ მადლიერებას გამოვთქვამ გამოგზავნილი მისალმებისა და მოლოცვებისათვის და მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, ეწინარეს ყოვლისა, რომ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის უდავო წარმატებანი მთელი ჩვენი პარტიის მოღვაწეობის ნაყოფია, მთელი ჩვენი ხალხის გმირული შრომისა და ბრძოლის შედეგია.

ჩვენს სოციალისტურ, ნამდვილად მშვიდობისმოყვარულ და თანამიმდევრულ დემოკრატიულ საგარეო პოლიტიკას საფუძველი დიდმა ლენინმა ჩაუყარა. ჩვენ, საბჭოთა კომუნისტები, ლენინის იდეებში, მის მიერ შემუშავებულ პრინციპებში ვხედავთ საიმედო გზისმანათლებელ ვარსკვლავს. ამ პრინციპების ერთგულება, მათი შემოქმედებითი განვითარება და გამოყენება შეადგენს ჩვენი საგარეო-პოლიტიკური კურსის ძალის დაუშრეტელ წყაროს.

ამ ძალის მეორე უმნიშვნელოვანესი წყარო — ეს არის ჩვენი პოლიტიკის მიზნებისა და საბჭოთა ხალხის ინტერესების სრული შესაბამისობა და აქედან გამომდინარე განუხრელი მხარდაჭერა, რასაც საბჭოთა ადამიანები უწევენ ყველა ჩვენს საგარეო-პოლიტიკურ აქციას. იმათი დაუვიწყარი საგმირო საქმენი, ვინც ზამთრის სასახლეს იღებდა, და იმათი, ვინც რეგოლუციის მონაპოვრებს იცავდა სამამულო ომის წლებში, პირველი ხუთწლედების დამკვრელთა გმირული აღმშენებლობითი შრომა და კომუნიზმისათვის დღევანდელი მშვიდობიანი ბრძოლის გმირთა მძიდწეევები — აი რამ შექმნა ჩვენი სახელმწიფოს ურყევი ძლიერება, აი რამ უზრუნველყო ჩვენი საგარეო პოლიტიკის ურყევი ავტორიტეტი.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის პრინციპებსა და პრაქტიკულ საქმეებს სულ უფრო მეტად უჭერს მხარს აგრეთვე სხვა ქვეყნების მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა. იგი, ეს მხარდაჭერა, ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ სწორია ჩვენი XXIV ყრილობის კურსი. ჩვენი კონკრეტული მოქმედება მის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის განსახორციელებლად, და წარმოადგენს იმისადმი რწმენის დიდმნიშვნელოვან წყაროს, რომ მივაღწევთ ამ პროგრამით დასახულ მიზნებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სახელით მინდა აღვთქვამ, რომ კვლავაც თანმიმდევრულად და განუხრელად განვახორციელებთ პარტიის პროგრამით, მისი ყრილობების გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ პრინციპულ კლასობრივ კურსს, საგარეო-პოლიტიკურ გეზს მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისათვის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საუკეთესო საერთაშორისო პირობების შექმნისათვის. ეს მიგვაჩნია ჩვენს რევოლუციურ მოვალეობად საბჭოთა ხალხის წინაშე, ყველა ქვეყნის მშრომელთა წინაშე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1972-1973 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გასადიდებლად სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების მუშაბის, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, ხაოფლო საბჭოების თავმჯდომარეების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაკების დიდი ჯგუფი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ და ადგილობრივ პრესაში.

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ — ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ — ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ

მაღალი ჯილდოს კასუხად

საუბარი პარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველ მდივანთან პ. ბაბუნაშვილთან.

ლაგოდეხის რაიონის ხოფლის მეურნეობის მშრომელები, — თქვა პ. ბაბუნაშვილმა „კომუნისტის“ თანამშრომელთან საუბარში, — უდიდესი სახარულისა და სიამაყის გრძნობით შეხვდნენ ცნობას, რომ რაიონის მეცხოველეობის დარგის მუშაკებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და სამშობლოს მაღალი შეფასება დაიმსახურეს, რისთვისაც დაგვაჯილდოვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით და ფულადი პრემიით. ეს იმის შედეგია, რომ რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა გასწიეს, ფარფოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებს, ფერმებსა და ბრიგადებს შორის, რათა კიდევ უფრო გადიდებულიყო მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო რაიონის თექვსმეტივე კოლმეურნეობა და 33 ფერმა, რომლებიც ძალასა და ენერგიას არ იშურებდნენ ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად და მიღწეულ წარმატებათა გასაძლიერებლად. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ვაჟაცური შემართებით გადალახეს სიძნელეები, არ შეუშინდნენ მაცარ ზამთარს და ყველა ღონე იხმარეს, რათა არც ამჯერად დაერღვიათ მეცხოველეობის პროდუქტების გადიდებისათვის ბრძოლის შესანიშნავი ტრადიცია, და პირნათლნი გამოვიდნენ პარტიისა და ქვეყნის წინაშე.

რაიონის კოლმეურნეობებმა გასული და მიმდინარე წლების გამოზამთრების პერიოდში აწარმოეს 787 ტონა ხორცი, მაშინ როცა 1971-1972 წლების შესაბამის პერიოდში წარმოებული იყო მხოლოდ 564 ტონა. ასევე გადაჭარბებით შესრულდა რძის წარმოების გეგმა. მიმდინარე წლის გამოზამთრების პერიოდში 540 ტონით მეტი რძე იქნა მოწველილი 1971-1972 წლებთან შედარებით, ხოლო კვერცხის წარმოების მაჩვენებელი 1972-1973 წლების გამოზამთრების პერიოდში წინა წლების შესაბამის პერიოდთან შედარებით 959 ათასიდან 2.342 ათასამდე გაეზარდათ.

დღესაც არ შენელებულა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ტემპი, მიმდინარე წლის 8 თვეში სახელმწიფოს მიეყიდა 7.082 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 6.980 ცენტნერისა, ეს 1.016 ცენტნერით მეტია, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში იყო. დამზადებულია 27.000 ცენტნერი რძე ნაცვლად 23.579 ცენტნერისა, რაც 2.536 ცენტნერით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს, ხოლო კვერცხი მიეყიდა 2.414 ათასი ცალი ნაცვლად 1.184 ათასი ცალისა.

მეცხოველეობის ფერმებში შრომის ორგანიზაციის განმტკიცების, ძრხოვების მოვლა-პატრონობისა და ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა ერთ საფურაეე ძროხაზე წველადობის მაჩვენებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ მეცხოველეობის დარგის სპეციალისტები, მწველავები უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მინდობილ საქმეს. მიმდინარე წლის 8 თვეში თვითეულ ძროხაზე მიღებულია 1.144 კილოგრამი რძე. წინა წლის ამავე პერიოდში კი მიღებული იყო 979 კილოგრამი.

დღეს, როცა თვალს ვავლებთ რაიონის მეცხოველეთა მიერ მოპოვებულ წარმატებებს, ძნელია მათ შორის დავასახელოთ ისინი, ვინც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი. ყველა ერთნაირი მონდომებით შრომობდა, ყველას სურდა მეცხრე ხუთწლედის მისამე, გადამწყვეტ წელს სასახელო წარმატებები მოეპოვებინა. და ეს ასეც მოხდა.

რაიონის კოლმეურნეობებს შორის ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ვარდისუბნის, ლაგოდეხის, შრომის, ყარსუბნის, აფენის, ლელიანის და სხვა კოლმეურნეობების მეცხოველეებმა.

სასიხარულოა, რომ ყოველწლიურად იზრდება წარჩინებულ მწველავთა რიცხვი. დღეს რაიონში არავის გაუკვირდება, თუ საუკეთესოთა შორის ლაგოდეხელი გ. რომანცოვის, ნინიგორელი ს. კუბლაშვილს, ჭაბუკიანელ გ. თურქაძეს, ლელიანელ გ. გაბრიჭიძეს და სხვებს დავასახელებთ. მათ თავიანთი უანგარო შრომით მოიპოვეს სახელი და დიდება. ისინი მართლაც ჩვენი სახელოვანი შეკუთრები, დღევანდელი დღის გმირები არიან.

წარმატებები არ გვაქნებოდა, თუ დროულად არ ვიზრუნებდით პირუტყვისათვის მაკიეკი საკვები ბაზის შესაქმნელად. ყველა კოლმეურნეობაში ფართოდ გაანაღდა ბრძოლა უხეში საკვების წლინახევრის მარაგის შექმნისათვის, რაც მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების გადამწყვეტი პირობაა. რაიონის კოლმეურნეობები, პარტიული ორგანიზაციები, გამგეობები და მეცხოველეობის დარგის სპეციალისტები საკვების რაოდენობასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ მის ხარისხს.

რაიონის მეცხოველეობის თვითეულმა მუშაკმა შესანიშნავად იცის, რომ ის, რაც გაკეთდა, დიდი და კეთილი საქმის მხოლოდ დასაწყისია, რომ დასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს.

მაღალი ჯილდოს პასუხად პარტიის რაიონული კომიტეტი, თვითეული კომუნისტი, კომკავშირელი, რაიონის სოფლის მშრომელნი ყველა ღონეს ხმარობენ, რომ კიდევ უფრო განამტკიცონ მოპოვებული წარმატებები, სასტიკი და ულმობელი ბრძოლა გამოუცხადონ იმათ, ვინც უკან სწევს ჩვენი საზოგადოების წინსვლას, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ წარმატებით იქნას გადაწყვეტილი ის დიდი და საპატიო ამოცანები, რომლებიც პარტიის XXIV ყრილობამ დაგვისახა.

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ რაიონის მეცხოველეებში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ცნობამ მეცხოველეთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების შესახებ. მათი გადაწყვეტილებაა მიმდინარე წელი ახალი წარმატებებით დაამთავრონ. ᲮᲔᲠᲮᲘᲗ: მოწინავე მწველავები ციალა ტოკლიკიშვილი და გალინა რომანცევა. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

ᲐᲮᲚᲐ ბოლნისელი მეგვანაძეები სტარტს წინა ხაზზე ამყოფებიან. რამდენიმე დღეც, და დაიწყება ყურძნის კრეფა.

ბოლნისელებმა მრავალი ღონისძიება განახორციელეს, რათა დაეძლიათ უკანასკნელი ორი წლის სუსხიანი ზამთრის შედეგები, აღედგინათ დაზარალებული ვენახები. რაიონის მრავალმა საბჭოთა მეურნეობამ და კოლმეურნეობამ დროულად და აგროტექნიკური მოთხოვნილებების შესაბამისად შეასრულა ვაზისა და ნიადაგის მოვლის სამუშაოები. ახლა კი ისინი ყურადღებას იმას მიაპყრობენ, რომ უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მხარში ამოუდგა მოსახლეობა. გამოეხმაურნენ რა ზესტაფონის რაიონის კლდეეთის სასოფლო საბჭოსა და გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის სასოფლო საბჭოს მოსახლეობის პატრიოტულ თაოსნობას, ბოლნისელებმაც გადაწყვიტეს სახელმწიფოს მიჰყიდონ საკარმიდამო ნაკვეთებიდან ნაკეთებული ყურძნის მოსავლის 80 პროცენტი.

ამ დღეებში აღნიშნულ საკითხს მიეძღვნა მშრომელთა დეპუტატების ბოლნისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომა, სადაც ინფორმაცია გააკეთა აღმასკომის თავმჯდომარემ ფ. ბახტაძემ.

აღმასკომის სხდომაზე, რომელზეც მოწვეული იყვნენ სოფლის ფართო აქტივი, დეპუტატები, პენსიონერები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, სიტყვებით გამოიდნენ დეპუტატები ლ. კვინიკაძე, ა. ახვლედიანი, ჭ. ბერძენიშვილი, ვ. დობროვოლსკი და სხვები. მათ მთლიანად მოიწონეს საკარმიდამო ნაკვეთებიდან სახელმწიფოსთვის ყურძნის მიყიდვის მაგალითი და ურჩიეს სოფლის მშრომელებს მიჰბაძონ მას.

ბოლნისში უდავოდ კარგად გაიგეს მიმდინარე წელს მევენახეთა წინაშე დასმული ამოცანების მნიშვნელობა. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს პერსონალური პენსიონერის, საქართველოს სსრ . დამსახურებული პედაგოგის ვ. ბერძენიშვილის, სოციალისტური შრომის გმირის, პერსონალური პენსიონერის ე. მირაქორის, მუშა-მოსამსახურეების ა. გრიგორიანის, ბ. მარალეფიჩის, ვ. გოგილაშვილის და სხვათა პატრიოტული გადაწყვეტილებანი — წელს თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთებიდან თვითეულმა სახელმწიფოს მიჰყიდოს 4-5 ტონა ყურძენი.

აღმასკომის სხდომაზე გადაწყდა, რომ საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები წელს სახელმწიფოს მიჰყიდიან 700 ტონა ყურძენს, ანუ 200 ტონით მეტს, ვიდრე ადრინდელი ვალდებულება ითვალისწინებდა, და ეს სიტყვა რომ შესრულდეს, ყურძნის ჩაბარების უკეთესი ორგანიზაციისათვის შეიქმნა სპეციალური შტაბი. მასში გაერთიანდნენ ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის მდივანი ლ. კვინიკაძე, მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ა. ჩიქოვანი, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი ჭ. ბერძენიშვილი, ბოლნისის საბჭოთა მეურნეობის მუშა ა. ახვლედიანი და სხვები.

ქალაქის საბჭოს აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს განახორციელოს ეგრეთწოდებული მატერიალური წამახალისებელი ღონისძიებები.

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დაწესება აგრეთვე სპეციალური ვიმპელები და სიგელები საუკეთესო ჩამბარებლებისათვის.

ბოლნისში რთველი კარზეა მომდგარი. კიდევ ორი კვირა, და დაიწყება სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი ყურძნის მიყიდვა. ბოლნისელი მევენახეები სიტყვას საქმედ აქცევენ.

ზ. მერკვილაძე.
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

300.000 ტონა ყურძენი საქართველოს სახელმწიფო მარანში!

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ

7 სექტემბერს სრულდება სსრ კავშირის შრომის წითელი დროშის ორდენის დაწესების 45 წლისთავი. შრომის წითელი დროშის პირველი ორდენი რუსეთის ფედერაციაში დაწესდა სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობის 1920 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით. „პატივი და დიდება ამ ქარხანას, ამ სოფლის საზოგადოებას, ამ ცალკეულ მუშაკს, — ნათქვამი იყო ყრილობის მიმართვაში რუსეთის ყველა მშრომელისადმი, — ვინც პირველი მიიღებს რესპუბლიკისგან შრომის წითელი დროშის ორდენს“. შრომის წითელი დროშის ორდენები მალე გაჩნდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებშიც.

1928 წლის 7 სექტემბერს სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხოსაბჭომ დააწესეს ერთიანი საერთო საკავშირო შრომის წითელი დროშის ორდენი, როგორც ნათქვამია მის სტატუტში, წარმოების, მეცნიერული საქმიანობის, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი სამსახურის დარგში სსრ კავშირის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების აღსანიშნავად.

№ 1 სსრ კავშირის შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა ყოფილი პუტილოვის, ამჟამად ლენინგრადის კიროვის ქარხანას, საწარმოს დაარსების 125 წლისთავისა და მის მუშათა თვალსაჩინო რევოლუციური დამსახურების აღსანიშნავად.

პირველი მოქალაქენი, რომლებსაც მიენიჭათ ქვეყნის ახალი ორდენი, გახდნენ ქარხნების „სვეტლანას“ (ლენინგრადი), „მოსელეკტრიკის“ რეინიგზის ტრანსპორტის, ვერხ-ისეტის ქარხნისა და ქვეყნის სხვა საწარმოთა მოწინავე მუშაკები, არქტიკის მკვლევარი ვ. ი. ვიზე, კოსმონავტიკის ფუძემდებელი კ. ე. ციოლკოვსკი, თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე ჰ. ი. სტუჩკა და სხვები.

ომისწინა წლების მანძილზე სსრ კავშირის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდა 8 ათასამდე კაცი. დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებში გამოჩენილი შრომითი გმირობისათვის ეს ჯილდოები მიენიჭა 22 ათასამდე კაცს, მშრომელთა ბევრ კოლექტივს. ომისშემდგომ დროში მარტო მერვე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღო მრავალმა ათასმა მშრომელმა.

მარცვლეულის, შაქრის ჭარხლისა და სხვა პროდუქტების წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებაში მიღწეული დიდი წარმატებებისათვის და მოსავლის აღების დროს შრომითი მამაცობისათვის 1972 წლის დეკემბერში სოფლის მეურნეობის ათასობით მოწინავე დაჯილდოდა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, მათ შორის შრომის წითელი დროშის ორდენებით.

წელს ეს მაღალი ჯილდო მიენიჭათ სამოქალაქო ავიაციის მუშაკთა დიდ ჯგუფს, მოსკოველ მშენებელთა იმ ცნობილი ბრიგადის რამდენიმე წევრს, რომელსაც ხელმძღვანელობს სოციალისტური შრომის გმირი ნ. ა. ზლობინი, მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტროპოლიტენის კრასნაია პრესნიას რადიუსის პირველი რიგის აგების მონაწილეთა, სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურის, მეფვეეე-ნადიმ-პუნგის გზასადენის, ნოვოლიპეცკის მეტალურგიული ქარხნის № 5 ბრძმედის, ნევინომისკის ქიმიური კომბინატის მინერალური სასუქების დიდი სამრეწველო კომპლექსის, ზაპოროჟიეს სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის პირველი რიგის მშენებელთა დიდ ჯგუფს „ყარაღანდაქვანასშირის“ კომბინატის „მიხაილოვსკაიას“ შახტის № 3 უბნის მუშაკთა ჯგუფს და სხვებს.

სულ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა 1900 კოლექტივი, 749 ათასი მოქალაქე. ქვეყნის სახელოვანი შრომითი ორდენის კავალერთა რიგები კვლავ იზრდება.

ვ. კნიაზევი.
საკ. კორ.

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 6 სექტემბრის ბრძანებულებით საგამომძიებლო ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოდნენ:

ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე აფხაზაშვილი — ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი,

გიორგი ნესტორის-ძე ლომჟანიძე — ლაგოდეხის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი,

თამარ ოისების ასული ნუცუბიძე-ივანოვა — თელავის რაიონ

პარტიული ცხოვრება

ზრდა. რა სიმბოლურად ეღერს ჩვენი სოფლის ერს სახელი ახლა, როცა შრომა გადაიქცა ქვეყნისა და ხალხის ყველა სიკეთის წყაროდ!

შრომამ ააყვავა წინათ ჩამორჩენილი სოფელი მიქელგაბრიელიც, თავთავი ჯახი ვაიყვანა ეკი და ბედნიერი ცხოვრება დაუმკვიდრა მის ადამიანებს.

ახლა, სოფელ შრომაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს რესპუბლიკაში, დიდი შემოქმედებითი აქტიურობაა. შრომელებმა მშობლიურ, სასხლორიერულ საქმედ მიიღეს პარტიის მოწოდება. ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. ახალი ძალით განაღდა სოციალისტური შეჯიბრება უკრაინის სსრ გენინესკის რაიონის როვნოს სკკპ XXII ყრილობის სახელობის ლენინის ორდენოსან და ნატანების შრომის წითელი დროშის ორდენოსან კოლმეურნეობებთან.

ადამიანთა ამ მასობრივი მოძრაობისათვის მყარი ორგანიზაციული სუფთაძლის შექმნის მიზნით სისტემატურად ვაჯამებთ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შედეგებს. სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის ყომისიამ, რომელიც ჩვენთან მიმდინარე წლის აპრილში შეიქმნა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჩაის ფოთოლის კრეფის გეგმა-ვალდებულების ვადამდე შესრულებას. ყველაზე მოწინავე მეჩაიეებისათვის შემოღებულ იქნა ალმიანი კალათები წარწერით: „დღეს ჩვენ გავიმარჯვეთ“. თვითეულ ბრიგადაში სამი, მთლიანად კოლმეურნეობაში კი 51 ასეთი კალათია. ისინი ბრიგადების მიხედვით ეძლევათ მათ, ვინც წინა დღეს მოკრეფს ყველაზე მეტ ჩაის ფოთოლს.

ალმიანი კალათის მეტი ხნით შენარჩუნებისათვის მოწინავე მეჩაიეებს ეძლევათ ფულადი ჯილდოები.

ჩვენი სკოლის მოსწავლეებს, რომლებმაც გადამწყვეტ პერიოდში — მაის-ივნისში 1000 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, მომავალი სასწავლო წლისათვის ჯილდოდ მიეცემათ დაკვეთით შეკერილი სპეციალური ტანსაცმელი და მთელი წლის მანძილზე საჭირო სასწავლო ნივთები.

კოლმეურნეობის რვა ყველაზე მოწინავე ჩაის მკრეფველი ქალი და კაცი დეკემბრის ბოლოს გაგზავნება გენჩესკის რაიონის როვნოს კოლმეურნეობაში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგების შესაჯამებლად და მომდევნო წლისათვის სოციალისტიური შეჯიბრების ხელშეკრულების დასადებად.

მნახველის თვალს იტაცებს სოფლის ცენტრში მოთავსებული საპატიო დაფა, წარწერით „დღეს ლიდერია“, რომელზეც ყოველ ათდღიურში ერთხელ ათავსებენ გამარჯვებული ბრიგადების ხელმძღვანელთა პორტრეტებს. იმ ბრიგადების ხელმძღვანელთ კი, რომლებიც ჩაის ფოთლის კრეფის მთელ სეზონში ყველაზე მეტჯერ მოიპოვებენ ამ საპატიო უფლებას, ოცი პროცენტით გაუოდდებათ თვიური ხელფასი დამატებითი ანაზღაურებით.

სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობის მიზნით თვალსაჩინო ადგილას მოწყობილ დიდ პანოზე მოცემულია ყველა საწარმოო ბრიგადის ხუთწლიანი გეგმები ცალკეული წლების მიხედვით. აქ-

შეჯიბრება და სტიმულები

ვე გაეცნობით ყურთიერთშეჯიბრებაში ჩაბმულ ბრიგადების და მათს შრომითს მაჩვენებლებს. უნარიანად ვაყენებთ მრავალრიცხოვან ნაბეჭდ ორგანოს და ადგილობრივ რადიოგადაცემებს.

სოციალისტური შეჯიბრების კარგად მოწყობამ, მატერიალური დაინტერესების პრინციპის განხორციელებამ, ჩაის პლანტაციების აგროწესებით დამუშავებამ, მშრომელთა მზარდმა აქტივობამ სათანადო შედეგი გამოიღო. შრომელმა მეჩაიეებმა რაიონში პირველებმა 22 ივლისს უპატაკეს სამშობლოს. ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულება.

წელს შარშანდელთან შედარებით სამშობლოს ასეულ კილოგრამებით მეტი ჩაის ფოთოლი მივეცით. ჯერჯერობით საშუალოდ ჰექტარზე მოღებულია 6.100 კილოგრამი ნედლეული.

სოციალისტურ შეჯიბრებაში

ელექტროშედუღება

ავამაღლოთ საშემდუღებლო წარმოების ეფექტურობა

სტრუქტორო ბიუროს, საცდელ ქარხანას და ელექტრომეტალურ წარმოებას. ეს „ინსტიტუტი აწარმოებს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, ატარებს მეცნიერული დამუშავების ელექტრომეტალურ გამოცდებს და ნერგავს მათ წარმოებაში, განსაზღვრავს ტექნიკურ პოლიტიკას ელექტროშედუღების დარგში.

უკანასკნელ ხანებში ბევრი ღონისძიება ჩატარდა სსრ კავშირში საშემდუღებო ტექნიკის შემდგომი განვითარების დარგში. დაისახა ამოცანა, რომელიც თვალისწინებს შედუღების ახალი პროცესების ფართო გამოყენებას, მოითხოვს ყველგან გატარებული იქნას შედუღების სამუშაოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, უწყვეტად გაიზარდოს შედუღების გამოყენების საერთო მოცულობა.

რუსეთის ბევრ სამრეწველო საწარმოში ჭარბობს ხელით რკალური შედუღება, რომელიც გამოირჩევა არადამაკმაყოფილებელი ხარისხით და დაბალი შრომის ნაყოფიერებით. ამასთან საწარმოთა საშემდუღებო მოწყობილობით აღჭურვილობა უმრავლეს შემთხვევაში არ შეესაბამება ტექნიკის თანამედროვე დონეს, რაც ამუხრუჭებს პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვას. საწარმოებში პრიმიტიული და მოძველებული მოწყობილობა ან საერთოდ არ იცვლება, ანდა თუ იცვლება, მათი გაახლების ტემპები ხშირად არ შეესაბამება საერთო ტექნიკურ წინსვლას.

ფართოდ არ არის დანერგილი შედუღების ისეთი პროგრესული მეთოდები, როგორიც არის ნახევრადავტომატური და ავტომატური შედუღება ფლუსის ქვეშ, ნახევრად ავტომატური და ავტომატური შედუღება, პლაზმური შედუღება და ჭრა, ხახუნით შედუღება, ცივი შედუღება დაწნევით, ელექტროწიდური შედუღება და ა. შ. გაცვეთილი დეტალების აღდგენის და შეკეთების დროს იშვიათად იყენებენ ცვეთამდეგურ დადუღებას.

სამწუხაროა, რომ ჯერ კიდევ საშენებლო ინდუსტრიაში საარმატურე ღეროების და ჩარჩოების შეერნიკის დარგში დასაქმებული რიგორც მექანიერული, ისე საწარმოო ძალები ძირითადად თავმოყრილია თბილისში.

1958 წელს საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით ქ. თბილისში საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს ავტოსარემონტო სახელოსნოს ბაზაზე შეიქმნა ქარხანა „ელექტროშედუღება“. 1963 წელს მას მიეკუთვნა აკადემიკოს ე. ო. პატონის სახელი და ეწოდა ელექტროშესადუღ მოწყობილობათა ქარხანა. მას შემდეგ არც ისე ბევრმა დრომ განვლო, მაგრამ გაიზარდა ქარხანის როგორც საწარმოო ფასი, ისე გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურა. 1961 წელს ქარხანასთან ჩამოყალიბდა ელექტროშესადუღ მოწყობილობათა საკავშირო-სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის თბილისის ფილიალი (ამჟამად განყოფილება), სადაც ბევრი კარგი გაკეთდა შესადუღ მოწყობილობათა, როგორც ახლის შექმნაში, ისე ძველი მოწყობილობის სრულყოფის საქმეში. ამ დაწესებულების საკონსტრუქტორო განყოფილებაში და შესაბამის ლაბორატორიებში დამუშავებული და შექმნილი იქნა მთლიანი ტექნიკური დოკუმენტაცია, ხოლო საცდელ წარმოებაში დამზადებულია მრავალი შესადუღი აპარატის, ნახევრადავტომატის, ავტომატის, გარდამსახის და გამმართველის საცდელი ნიმუშები. ყოველი წლის ბოლოს საუწყებათშორისო კომისიების მიერ შეფასებული ოქმებით და აქტებით ერთხმად რეკომენდებულია ქარხანაში მათი სერიულად ან საცდელ პარტიად გამოშვება.

მართალია, ქარხანა უშვებს განყოფილების მიერ დამუშავებულ ზოგიერთ შესადუღ მოწყობილობას, მაგრამ საცდელი ნიმუშების უმრავლესობა ან გადაეცა სამრეწველო საწარმოებს, ანდა სამუზეუმო ექსპონატებად იქცა. მათი ტექნიკური დოკუმენტაცია კი არქივს ჩაბარდა. მრავალი წლის განმავლობაში განყოფილების სამეცნიერო-საკვლევი და საკონსტრუქტორო სამუშაოები ცალკე იგეგმება, ხოლო ქარხნის გამოსაშვები პროდუქციის გეგმა ცალკეა შორის სრული შეუსაბამობაა. და ეს ხდება მაშინ, როცა განყოფილებას და ქარხანას ერთი საერთო დირექტორი ჰყავს.

გარდა ელექტროშედუღების მოწყობილობათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თბილისის განყოფილებისა, შედუღების ტექნოლოგიის და მოწყობილობის საკითხებზე თბილისში მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის შედუღების ლაბორატორია, მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შედუღების ლაბორატორია და სხვა სამეცნიერო ორგანიზაციები.

სწორედ ისინი უნდა ფიქრობდნენ სამრეწველო საწარმოებთან ნაყოფიერ თანამშრომლობაზე. მაგრამ მარტო მათ არ ძალუძთ გაკაფონ გზა ახლისაკენ, პროგრესულისაკენ. ამიტომ განსაზღვრული ტექნიკური პრობლემების გადასაწყვეტად საჭიროა საწარმოებში შეიქმნას კომპლექსური ბრიგადები მეცნიერი მუშაკებისა და საწარმოს ძალების მონაწილეობით. მათ უნდა იმუშაონ წინასწარ შედგენილი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებების მიხედვით.

საჭირო და აუცილებელია, რომ თვითეულმა სამეცნიერო ორგანიზაციამ ჩვენი რესპუბლიკის მრავალ ქარხანასთან და საწარმოო დაწესებულებებთან თანამეგობრობით წარმატებით დაამუშაოს და დანერგოს ლითონთა შედუღების, ჭრის და რჩილვის მოწინავე მეთოდები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე სამართლიანად გაკრიტიკებულ იქნენ ეკონომიკის დარგში მომუშავე ინსტიტუტები და აღინიშნა, რომ მათს მუშაობას არ ახასიათებს სათანადო უკუგება. ეკონომიკაცია, მათს თემატიკაში ხშირად შეიმჩნევა პარალელიზმი და ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს“. იგივე შეიძლება ითქვას შედუღების დარგის ორგანიზაციების მუშაობაზეც.

საქართველოს სამრეწველო საწარმოებში და სამეცნიერო დაწესებულებებში შედუღების დარგის სპეციალისტების აშკარა ნაკლებობაა. მით უფრო აუცილებელია მათი საქმიანობის რაციონალური გამოყენება და ზუსტი კოორდინირება, განსაკუთრებული ლაბორატორიების მეცნიერული კვლევებისადმი ერთიანი ხელმძღვანელობის მიღწევა. საჭიროა ავრეთვე ყურადღება მიექცეს დამთავრებული სამუშაოების წარმოებაში დანერგვას.

ჩვენის აზრით, დადგა დრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერების და ტექნიკის კომიტეტში შეიქმნას თავადი შედუღების სამსახური, რომელიც განიხილავს საშემდუღებო საქმის მდგომარეობას და მისი განვითარების პერსპექტივებს, დასახავს საკავშირო დონის შესაბამის გზებს, კოორდინირებას და ზუსტ კონტროლს გაუწევს შედუღებაში მომუშავე სამეცნიერო დაწესებულებების და სამრეწველო საწარმოების მოქმედებას, დაამუშავებს შედუღების ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის პერსპექტიულ გეგმებს.

ყველა ეს პრობლემა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაწყდეს. ამას მოითხოვს საშემდუღებო მეცნიერების და ტექნიკის განვითარება, მისი მიღწევების დანერგვა ჩვენს რესპუბლიკაში.

გ. ჩხიკვაძე,
თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის შედუღების მთავარი სპეციალისტი.

სიახლე, ძიება

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში სულ უფრო მეტ როლს ასრულებს საშემდუღებო მეცნიერება. ის გარდაქმნის საშემდუღებო ტექნიკას, წარმოების მართვის და მოსახურების სფეროს. რაც უფრო სწრაფად ვითარდება წარმოების ტექნიკა, მით უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებენ მეცნიერულ -კვლევა-ძიებას. მეცნიერების წარმოებასთან კავშირის გაძლიერების აუცილებლობა მოითხოვს მეცნიერთა და წარმოების მუშაკთა თანამშრომლობის ეფექტიან ფორმებს. ჩვენი სამამულო ტექნიკის განვითარების განმასხვავებელ თვისებებს წარმოადგენს მეცნიერების და წარმოების მუშაკების შემოქმედებითი თანამეგობრობა. შედუღების დარგში მიღებული ყველა მნიშვნელოვანი მიღწევა ამ ურთიერთკავშირის შედეგია.

ამ თვალსაზრისით სკკპ XXIV ყრილობაზე მაღალი შეფასება მიეცა და დიდი ყურადღება დაისახურა ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტმა (ქ. კიევი), რომელიც თავის შემადგენლობაში აერთიანებს .მძლავრ საკონ-

ნიკის დარგში დასაქმებული რიგორც მეცნიერული, ისე საწარმოო ძალები ძირითადად თავმოყრილია თბილისში.

1958 წელს საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით ქ. თბილისში საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს ავტოსარემონტო სახელოსნოს ბაზაზე შეიქმნა ქარხანა „ელექტროშედუღება“. 1963 წელს მას მიეკუთვნა აკადემიკოს ე. ო. პატონის სახელი და ეწოდა ელექტროშესადუღ მოწყობილობათა ქარხანა. მას შემდეგ არც ისე ბევრმა დრომ განვლო, მაგრამ გაიზარდა ქარხნის როგორც საწარმოო ფასი, ისე გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურა. 1961 წელს ქარხანასთან ჩამოყალიბდა ელექტროშესადუღ მოწყობილობათა საკავშირო-სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის თბილისის ფილიალი (ამჟამად განყოფილება), სადაც ბევრი კარგი გაკეთდა შესადუღ მოწყობილობათა, როგორც ახლის შექმნაში, ისე ძველი მოწყობილობის სრულყოფის საქმეში. ამ დაწესებულების საკონსტრუქტორო განყოფილებაში და შესაბამის ლაბორატორიებში დამუშავებული და შექმნილი იქნა მთლიანი ტექნიკური დოკუმენტაცია, ხოლო საცდელ წარმოებაში დამზადებულია მრავალი შესადუღი აპარატის, ნახევრადავტომატის, ავტომატის, გარდამსახის და გამმართველის საცდელი ნიმუშები. ყოველი წლის ბოლოს საუწყებათშორისო კომისიების მიერ შეფასებული ოქმებით და აქტებით ერთხმად რეკომენდებულია ქარხანაში მათი სერიულად ან საცდელ პარტიად გამოშვება.

მართალია, ქარხანა უშვებს განყოფილების მიერ დამუშავებულ ზოგიერთ შესადუღ მოწყობილობას, მაგრამ საცდელი ნიმუშების უმრავლესობა ან გადაეცა სამრეწველო საწარმოებს, ანდა სამუზეუმო ექსპონატებად იქცა. მათი ტექნიკური დოკუმენტაცია კი არქივს ჩაბარდა. მრავალი წლის განმავლობაში განყოფილების სამეცნიერო-საკვლევი და საკონსტრუქტორო სამუშაოები ცალკე იგეგმება, ხოლო ქარხნის გამოსაშვები პროდუქციის გეგმა ცალკეა შორის სრული შეუსაბამობაა. და ეს ხდება მაშინ, როცა განყოფილებას და ქარხანას ერთი საერთო დირექტორი ჰყავს.

ლითონთა შედუღების, ჭრის და რჩილვის მოწინავე მეთოდები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე სამართლიანად გაკრიტიკებულ იქნენ ეკონომიკის დარგში მომუშავე ინსტიტუტები და აღინიშნა, რომ მათს მუშაობას არ ახასიათებს სათანადო უკუგება. ეკონომიკაცია, მათს თემატიკაში ხშირად შეიმჩნევა პარალელიზმი და ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს“. იგივე შეიძლება ითქვას შედუღების დარგის ორგანიზაციების მუშაობაზეც.

საქართველოს სამრეწველო საწარმოებში და სამეცნიერო დაწესებულებებში შედუღების დარგის სპეციალისტების აშკარა ნაკლებობაა. მით უფრო აუცილებელია მათი საქმიანობის რაციონალური გამოყენება და ზუსტი კოორდინირება, განსაკუთრებული ლაბორატორიების მეცნიერული კვლევებისადმი ერთიანი ხელმძღვანელობის მიღწევა. საჭიროა ავრეთვე ყურადღება მიექცეს დამთავრებული სამუშაოების წარმოებაში დანერგვას.

ჩვენის აზრით, დადგა დრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერების და ტექნიკის კომიტეტში შეიქმნას თავადი შედუღების სამსახური, რომელიც განიხილავს საშემდუღებო საქმის მდგომარეობას და მისი განვითარების პერსპექტივებს, დასახავს საკავშირო დონის შესაბამის გზებს, კოორდინირებას და ზუსტ კონტროლს გაუწევს შედუღებაში მომუშავე სამეცნიერო დაწესებულებების და სამრეწველო საწარმოების მოქმედებას, დაამუშავებს შედუღების ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის პერსპექტიულ გეგმებს.

ყველა ეს პრობლემა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაწყდეს. ამას მოითხოვს საშემდუღებო მეცნიერების და ტექნიკის განვითარება, მისი მიღწევების დანერგვა ჩვენს რესპუბლიკაში.

გ. ჩხიკვაძე,
თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის შედუღების მთავარი სპეციალისტი.

მაქსიმალური ეფექტიანობა

ეკონომიკური ანალიზი

ეფექტიანობა

ეფექტიანობა

ეფექტიანობა

ლიტერატორთა კეთილშობილური მისია

აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა V კონფერენცია

ალმა-ათა, 5 სექტემბერი, (საკ-დესის კორ.). დღეს აქ მუშაობას განაგრძობს აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა მეხუთე კონფერენცია. ორი კონტინენტის ლიტერატორები განიხილავენ მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში ქვეყნებისა და ხალხების მონაწილეობის, ამ საარსებოდ დიდმნიშვნელოვან საქმეში მწერლის როლის პრობლემებს. კონფერენციის მონაწილენი აცხადებენ, რომ მზად არიან თავიანთი შემოქმედებით ემსახურონ მაღალ მიზანს — საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

კონფერენციაზე წაიკითხეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფოთა, მთავრობათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მეთაურების მისასალმებელი წერილები, რომლებშიც წარმატებას, ნაყოფიერ მუშაობას უსურვებენ ლიტერატორთა ფორუმს. მისასალმებანი, კერძოდ, გამოგზავნეს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა ანვარ სადათმა, ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ, სენეგალის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლეოპოლდ-სედარ სენგორმა, კამერუნის გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ამადუ აჰიჯომ, სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი რევოლუციური საბჭოს პრეზიდენტმა გენერალმა მუჰამედ სიად ბარემ, ირანის პრემიერ-მინისტრმა ა. ჰოვეიდამ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ გ. იაბლონსკიმ.

5 სექტემბრის პლენარულ სხდომაზე გამოვიდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა ასოციაციის გენერალური მდივანი იუსეფ ეს-სიბაი. მან ილაპარაკა ასოციაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე, მწერალთა როლზე იმპერიალიზმის, სიონიზმის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მოხსენების სპეციალური კარი ეძღვნება ანგარიშს ასოციაციის მუშაობის შესახებ. ი. ეს-სიბაიმ მაღლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხს, კომუნისტურ პარტიასა და სსრ კავშირის თავრობას ალმა-ათაში ამ კონფერენციის მოწყობის შესაძლებლობისათვის, იმ დიდი დახმარებისათვის, რომელსაც უწევენ აფრიკა-აზიის მწერალთა მოძრაობას.

ალჟირელმა მწერალმა მ. მამერიმ გამოთქვა რწმენა, რომ ორი დიდი კონტინენტის პროგრესული ლიტერატორები შეასრულებენ თავიანთ კეთილშობილურ მისიას მშვიდობიმოყვარე ძალების გაერთიანებისა და ანტიკოლონიალიზმის და ჰუმანიზმის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდისათვის.

აფრიკელ ხალხთა ძველი კულტურის აღორძინებაში მწერალთა როლს მიუძღვნა თავისი გამოსვლა კონგოს სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა ლეტამბე ამბილი ანტუანმა. აფრიკა-აზიის მწერლები, თქვა ორატორმა, არასოდეს არ შეწყვეტენ ბრძოლას ადამიანის ექსპლოატაციის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მოხსენების სპეციალური კარი ეძღვნება ანგარიშს ასოციაციის მუშაობის შესახებ. ი. ეს-სიბაიმ მაღლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხს, კომუნისტურ პარტიასა და სსრ კავშირის თავრობას ალმა-ათაში ამ კონფერენციის მოწყობის შესაძლებლობისათვის, იმ დიდი დახმარებისათვის, რომელსაც უწევენ აფრიკა-აზიის მწერალთა მოძრაობას.

ალჟირელმა მწერალმა მ. მამერიმ გამოთქვა რწმენა, რომ ორი დიდი კონტინენტის პროგრესული ლიტერატორები შეასრულებენ თავიანთ კეთილშობილურ მისიას მშვიდობიმოყვარე ძალების გაერთიანებისა და ანტიკოლონიალიზმის და ჰუმანიზმის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდისათვის.

აფრიკელ ხალხთა ძველი კულტურის აღორძინებაში მწერალთა როლს მიუძღვნა თავისი გამოსვლა კონგოს სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა ლეტამბე ამბილი ანტუანმა. აფრიკა-აზიის მწერლები, თქვა ორატორმა, არასოდეს არ შეწყვეტენ ბრძოლას ადამიანის ექსპლოატაციის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მოხსენების სპეციალური კარი ეძღვნება ანგარიშს ასოციაციის მუშაობის შესახებ. ი. ეს-სიბაიმ მაღლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხს, კომუნისტურ პარტიასა და სსრ კავშირის თავრობას ალმა-ათაში ამ კონფერენციის მოწყობის შესაძლებლობისათვის, იმ დიდი დახმარებისათვის, რომელსაც უწევენ აფრიკა-აზიის მწერალთა მოძრაობას.

ალჟირელმა მწერალმა მ. მამერიმ გამოთქვა რწმენა, რომ ორი დიდი კონტინენტის პროგრესული ლიტერატორები შეასრულებენ თავიანთ კეთილშობილურ მისიას მშვიდობიმოყვარე ძალების გაერთიანებისა და ანტიკოლონიალიზმის და ჰუმანიზმის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდისათვის.

მსოფლიო დღეს

კონფერენციას გაეცალა

რ. ნიქსონის პრეს-კონფერენცია

ალეირი, 6 სექტემბერი. (საკ-დესის სპეც. კორ.). გუშინ გვიან საღამოს ალეირის დედაქალაქის ერთა სასახლეში გაიხსნა მუშმრომბელი ქვეყნების „სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა IV კონფერენცია. მის მუშაობაში მონაწილეობენ თითქმის 80 სახელმწიფოს, აგრეთვე მთელი რიგ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა წარმომადგენლები. კონფერენციას ესწრებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კ. ვალდჰაიმი და სხვა საზღვარგარეთელი სტუმრები.

გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა ალეირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ჰ. ბუმედიენმა, რომელმაც გამოთქვა რწმენა, რომ ალეირის კონფერენცია ახალ ტიპიულს მისცემს ბრძოლას განვითარებად ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, მათი ხალხების კანონიერ მისწრაფებათა განხორციელებისათვის, სამართლიანობასა და თავისუფლებაზე დაფუძნებული მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის.

მიუმხრობლობის მოძრაობის ამოცანები, აღნიშნა ჰ. ბუმედიენმა, ის არის, რომ უზრუნველყოს მასში მონაწილე ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობა, ეკონომიური განვითარება, აგრეთვე მხარი დაუჭიროს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის, სიონიზმის, რასობრივი დისკრიმინაციისა და უცხოეთის ჩარევის ყველა ფორმის წინააღმდეგ, უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისათვის.

ალეირის სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა ის დადებითი ცვლილებანი, რომლებიც ამ ბოლო ხანს მოხდა საერთაშორისო ურთიერთობაში.

შემდეგ გამოვიდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, კერძოდ, რომ განვითარებადი ქვეყნების თავისუფლება სრული არ იქნება, თუ ისინი ეკონომიურ თავისუფლებას არ მიაღწევენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კ. ვალდჰაიმი შეეხო თანამედროვეობის მწვავე პრობლემებს, რომლებიც ჯერ კიდევ მოელიან თავიანთ გადაწყვეტას. მათ შორის მან დასახელა ახლო აღმოსავლეთის კრიზისი, სამხრეთ აფრიკაში არსებული რასისტული წესები და სხვა საკითხები.

პირველ სხდომაზე გამოაცხადეს, რომ კონფერენციამ მიიღო მისასალმებელი წერილები, კერძოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისაგან.

ვაშინგტონი, 6 სექტემბერი, (საკ-დესი). პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა პრეს-კონფერენცია გამართა საზაფხულო შესვენების შემდეგ კონგრესის მუშაობის განახლებასთან დაკავშირებით.

პრეზიდენტმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ უახლოეს ხანებში გამოაქვეყნებს ახალ წერილს „ქვეყნის მდგომარეობის შესახებ“, სადაც ძირითადი ყურადღება დაეთმობა კანონპროექტებს, რომლებსაც ამჟამად კონგრესი განიხილავს, მაგრამ რომელთა თაობაზე დღემდე არ არის გამოტანილი რაიმე გადაწყვეტილება.

როგორც ცნობილია, თეთრ სახლსა და დემოკრატიული პარტიის კონტროლს დაქვემდებარებულ კონგრესს უთანხმოებანი აქვთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოლიტიკის ბევრი საკითხის გამო.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მთავრობა კვლავაც უპირველეს ყურადღებას დაუთმობს ინფლაციასთან ბრძოლას. მთავრობის მიზანი, განაცხადა რ. ნიქსონმა, ის არის, რომ შეაჩეროს ინფლაცია, აღარ დაუშვას ქვეყნის ეკონომიკის დაქვეითება.

რ. ნიქსონმა დაწერილებით ილაპარაკა ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკულ პრობლემაზე, რომელიც სულ უფრო მწვავდება, თუ ეშმიდთი ღონისძიებანი არ ვიხმარეთ, თქვა მან, „ამერიკის შეერთებულ შტატებს ენერგეტიკული კრიზისი დაუდგებაო“. ამასთან დაკავშირებით მან უკმაყოფილება გამოთქვა ნავთობის გაძვირების შესახებ არაბულ სახელმწიფოთა გადაწყვეტილების გამო და აღნიშნა, რომ ეს ავნებს, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებს, ისე დასავლეთ ევროპას. პრობლემა, რომელსაც ამ შემთხვევაში ვაწყდებით, განაგრძო პრეზიდენტმა, საბოლოო ანგარიშით მჭიდროდ არის დაკავშირებული არაბეთ-ისრაელის კონფლიქტთან. რ. ნიქსონმა გააფრთხილა არაბული ქვეყნები, რომ თუ ისინი კვლავაც განაგრძობენ ნავთობის ფასის მომატებისა და უცხოეთის კომპანიათა საკუთრების ექსპროპრიაციის პოლიტიკას, შეიძლება დაკარგონ გასაღების ბაზრები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში. შეეხო რა მთავრობის საგარეოპოლიტიკურ საქმიანობას, რ. ნიქსონმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება დასავლეთ ევროპაში შეიარაღებული ძალების რიცხვის შემცირების თაობაზე. პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ კიდევ უფრო შეიზღუდება სტრატეგიული ატომური შეიარაღება, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ ეს გამოიწვევს არა მარტო შეიარაღების ტვირთის შემსუბუქებას, არამედ მთელი კაცობრიობისათვის ომის საფრთხის შენელებასაც. ამასთანავე რ. ნიქსონი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბიუჯეტის შემცირების წინააღმდეგ გამოვიდა.

შეეხო რა ეერეთ ფოდებულ „უოტერგეიტის საქმეს“, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პრესისა და ტელევიზიის ცნობება, რომლებიც სასეფ ყურნოკული ამბებითა და მონაჭორებით“, მას სახელს უტეხენ ქვეყნის საზოგადოებრიობის თვალში, რ. ნიქსონმა განაცხადა, სენატის სპეციალურ კომისიას და პროკურორს, რომლებიც გამძიებას ეწევიან, ვერ გადავცემ კონფიდენციალური დოკუმენტებისა და ჩეკი საუბრების მაგნიტოფონის ჩანაწერებს, ვინაიდან ეს პრეზიდენტის მოვალეობის აღსრულებისათვის საჭირო კონფიდენციალურობის პრინციპს დაარღვევს.

პატრიოტები იცავენ, აშენებენ...

მოზამბიკელი პატრიოტები აძლიერებენ შეიარაღებულ ბრძოლას პორტუგალიელი კოლონიზატორების წინააღმდეგ. ამჟამად ქვეყნის ტერიტორიის მეოთხედზე მეტს კონტროლს უწევს მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის მებრძოლები. სურათზე: მოზამბიკელი მებრძოლი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები მთელ ძალას ახმარენ ქვეყნის სახალხო მეურნეობის სწრაფად აღდგენას, რომელიც დაზარალდა ომის დროს. სურათზე: ერთ-ერთი სახლის მშენებლობა ხანოის უველაზე დაზარალებულ რაიონში.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ნ. ჩაუშესკუ კოსტა-რიკაში

სან-ხოსე, 5 სექტემბერი. (საკ-დესი). რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლაე ჩაუშესკუ, რომელიც ორი დღის ოფიციალური ვიზიტით იყო კოსტა-რიკაში, დღეს ვენესუელაში გაემგზავრა. კოსტა-რიკის დედაქალაქის „ხუან სანტამარიას“ აეროპორტში ნ. ჩაუშესკუ გააცილეს კოსტა-რიკის პრეზიდენტმა ხოსე ფიგერესმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ჩილეს მშრომელთა დღესასწაული

სანტიაგო, 5 სექტემბერი. (საკ-დესი). გუშინ ჩილეს მშრომელებმა აღნიშნეს დიდი დღესასწაული: 1970 წლის არჩევნებში, რომელსაც მოჰყვა პრეზიდენტის პოსტზე მათი კანდიდატის სალვადორ ალიენდეს დანიშვნა, სახალხო ძალების გაძარჯვების მესამე წლისთავი.

ხელისუფლების სათავეში პრეზიდენტ ალიენდეს მთავრობის ყოფნის წლები აღინიშნა უმნიშვნელოვანესი ოთვლენებით ჩილეს ისტორიაში. ამ მთავრობის მიერ განხორციელებულმა რევოლუციურმა სოციალ-ეკონომიურმა გარდაქმნებმა სასე უცვალეს ქვეყანას.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩილეს პრესტიჟი საერთაშორისო ასპარეზზე სახალხო თავრობის რეალისტური საგარეო პოლიტიკის შედეგად. ჩილემ დიპლომატიური ურთიერთობა დამყარა კუბასთან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანასთან, წარმატებით ავითარებს ძეგობრულ კავშირურთიერთობასა და თანამშრომლობას საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ამ წლების მანძილზე პრეზიდენტ ალიენდეს თავრობას მუმაობა უხდება შიგაური და გარეშე რეაქციის ძალების გააფთრებული წინააღმდეგობის პირობებში.

ჩილეს მშრომელი ხალხი პრეზიდენტისა არჩევნებში თავისი გამარჯვების მესამე წლისთავს აღნიშნავს ოესპუბლიკისათვის მეტად ძნელ დღეებში. რეაქცია აძლიერებს ძირგამოძთხრელ ოოქმედებას იმ მიზნით, რომ რადაც უნდა დაუჯდეთ დაამხოს სახალხო მთავრობა. ახლა, როგორც თავის უკანასკნელ მიმართვაში უსვამს ხაზს ჩილეს მშრომელთა ერთიანი პროფცენტრი, საფრთხე ექმნება „არა მარტო სახალხო მთავრობას, არამედ ბრაკალი წლის ბრძოლის მანძილზე ხალხის ყველა მონაპოვარსაც“. ამიტომ რესპუბლიკის მუშათა კლასი, ყველა მშრომელნი ზეიმის დღეს გამოვიდნენ ჩილეს ქალაქების ქუჩებში საბრძოლო დემონსტრაციებზე თავიანთი რევოლუციის, თავიანთი კანონიერი მთავრობის დასაცავად. „ძირს ფაშიზმი“, „ძირს სახელმწიფო გადატრიალება“ — ასეთი ლოზუნგებით მოაწყო ჩილელმა ხალხმა თავისი დღესასწაული.

მდგომარეობა კამბოჯაში

პარიზი, 6 სექტემბერი. (საკდესი). კამბოჯის განთავისუფლების ძალები გაეფთრებულ ბრძოლებს ეწევიან პნომპენის ჯარების წინააღმდეგ საომარი მოქმედების ყველა დიდმნიშვნელოვან უბანზე.

როგორც ბრომპენიდან იტყობინებიან, განსაკუთრებით შეუპოვარი ბრძოლები გრძელდება პროვინციული ცენტრის კამპონგტიამის რაიონში. განთავისუფლების ძალების ქვეგანაყოფები საარტილერიო მომზადების შემდეგ გუშინ შეიჭრნენ მოწინააღმდეგის პოზიციებზე საუნივერსიტეტო ქალაქის ტერიტორიაზე, რომელიც ქალაქის ზოლში მდებარეობს. როგორც უცხოეთის საინფორმაციო საგენტოები იტყობინებიან, პატრიოტთა ცალკეული ჯგუფები დღეს შეიჭრნენ ცენტრალური ბაზრის რაიონში და ჭეშის ბრძოლები გააჩაღეს. გაადფთრებული შეტაკებანი მოხდა აგრეთვე აეროპორტის რაიონში. პატრიოტები საზენიტო ცეცხლით ხელს უშლიან ბრომპენიდან მამავალი ძალების თვითმფრინავებით გადაყვანას.

იუწყებიან, რომ განთავისუფლების ძალებმა ახალი დიდი წარმატებანი მოიპოვეს. დღეს დილით პატრიოტებმა გადაკრეს № 5 გზატკეცილი, რომელიც დედაქალაქს მდიდარ ბრინჯის მწარმოებელ ბატამბანგის პროვინციასთან აკავშირებს. უცხოეთის ბაგენტოთა კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი დღეების მანძილზე ბრომპენში ძალზე გაძვირდა ხორცი და სხვა პროდუქტები.

მეხუთე დევალვაცია

ლონდონი, 6 სექტემბერი. (საკდესი). როგორც საინფორმაციო საგენტოებიან იუწყებიან, სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებამ მიმდინარე წელს მეხუთედ განახორციელეს პიასტრის დევალვაცია. ნაცვლად 500 სამხრეთვიეტნამური პიასტრისა, ახლა ერთ დოლარზე გადაცვლიან 510 პიასტრს. საინფორმაციო ადმინისტრაციას იმედი აქვს, რომ ამ ღონისძიებით გადადიებს სამხრეთ ვიეტნამის ექსპორტის კონკურენტუნარიანობას და შეანელებს ქვეყნის ეკონომიკაში კრიზისულ მოვლენებს.

ძლიერი აფეთქება

ბონი, 6 სექტემბერი. (საკ-დესი). ჰამბურგის ნავსადგურში ძლიერი აფეთქება მოხდა ინგლისის საკონტინენტო გემზე, რომელმაც ხანძარი გამოიწვია. წინასწარი მონაცემებით, დაშავდა 35 კაცი.

იზრდება დანაშაულობა

ლონდონი, 6 სექტემბერი. (საკდესი) ძალმომრეობით დანაშაულობათა რიცხვი ინგლისში 1973 წლის პირველ სამ თვეში 21,8 პროცენტით გაიზარდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და მიაღწია 12.915, იუწყება ინგლისის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

სპელჩოში შეიჭრნენ

პარიზი, 5 სექტემბერი. (საკდესი). სამი შეიარაღებული კაცი შეიჭრა დღეს დილით საუდის არაბეთის პარიზის სელჩოში.

როგორც პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, თავდამსხმელებმა მძევლად წაიყვანეს სელჩოს ხუთი თანამშრომელი და მოითხოვეს იარაღი და თვითმფრინავი ქვეყნის დასატოვებლად.

საკ-დესი

მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის მხარდასაჭერად

საერთაშორისო უშიშროებისა და განიარაღებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თანამშრომლობისა და მშვიდობისათვის მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის იდეების მხარდასაჭერად მძლავრად გაისმა სოფელ ნატანების შრომის წიოელი დროშის ორდენოსანი ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელთა ხმა.

აქ გამართულ ხალხმრავალ კრებაზე მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესისათვის მზადების შესახებ ინფორმაცია გააკეთა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გ. წითლიძემ. — ნატანებლებმა, — თქვა მან, — კარგად იციან მშვიდობის ფასი. დიდი სამამულო ომის ფრონტებიდან სოფელში არ დაბრუნებულა მისი სამასი საუკეთესო შვილი. ჩვენ მხარგალად ვუჭერთ მხარს კომუნისტური პარტიის ლენინურ საგარეო პოლიტიკას, მის აქტიურ საქმიანობას სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის დიდი პროგრამის განხორციელებისათვის. მოსკოვში კონგრესი მიეწყობა ისეთ პერიოდში, როცა მნიშვნელოვნად შერბილდა პლანეტის პოლიტიკური კლიმატი, ხალხები მოწმენი გახდნენ, თუ როგორ შენელდა დაძაბულობა საზღვარგარეთ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტების შემდეგ. ცხოვრობდ მშვიდობიანად და შრომობდეს ამ მშვენიერ პლანეტაზე დიდი ბედნიერებაა.

ტრიბუნაზეა სოციალისტური შრომის გმირი მეჩაიე თ. ცენტერაძე:

— ჩემს ხმას ვეკერიერ პლანეტის მშვიდობისმოყვარე ძალების ხმას. ჩვენმა ბავშვებმა არ უნდა იცოდნენ ომის საშინელებანი. მათ მოწმენდილი ცა უნდა დანათოდეს. საბჭოთა კავშირი, ჩვენი მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გააღრმავონ საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე დაძაბულობის შენელების პროცესი და იგი შეუქცევადი გახადონ.

პედაგოგმა ტ. მალაზონიამ, ახალგაზრდა მეჩაიემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ს. ნიკოლაიშვილმა, მეშვიდე ბრიგადის ხელმძღვანელმა სოციალისტური შრომის გმირმა ი. გორგილაძემ ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის ლენინური საგარეო პოლიტიკა მუდამ ემსახურებოდა მშვიდობისა და თანამშრომლობის საქმეს. მსოფლიო კონგრესი, ხაზგასმით აღნიშნავდნენ ისინი, ეწყობა იმ დღეებში, როცა შექმნილია ხელსაყრელი ვითარება მშვიდობის განმტკიცებისა და შენარჩუნებისათვის. მშვიდობა და შრომა გაუყოფელია. შეუპოვრად ვიშრომებთ, რათა ვადამდე შეგასრულოთ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებანი, ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა პოეტმა ი. ნონეშვილმა აღნიშნა, რომ ქართველი ხალხი, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ერთსულოვნად უჭერს მხარს მოსკოვში მშვიდობისმოყვარე ძალების კონგრესის მოწვევას.

— თქვენი კულტურის სასახლის ვესტიბიულში, — თქვა ი. ნონეშვილმა, — სტენდიდან ცოცხლებივით შემოგვცქერის 300 ნატანებელი ვაჟკაცი, რომლებიც ბრძოლის ველიდან ვერ დაბრუნდნენ. სასახლის თაღებს თავს დასტრიალებენ მშვიდობის მტრედები. ეს სიმბოლურად გამოხატავს თვითეული ჩვენგანის მისწრაფებას — დაე მუდამ იყოს მშვიდობა.

ი. ნონეშვილმა შეკრებილთ გააცნო, თუ რა მუშაობას ეწევა მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტი კონგრესისათვის მოსამზადებლად.

მიღებულ რეზოლუციაში, რომელიც ერთსულოვნად იწონებს და მიესალმება მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის მოწვევას, აღნიშნულია, რომ მას დიდი მნიშვნელობა ექნება მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის. (საქინფორმი).

საზარელი ცილისწამება

ალუფფოთებლად ვერ ვილაპარაკებთ ა. დ. სახაროვის ცილისმწამებლურ საქმიანობაზე. მხოლოდ მსოფლიო რეაქციის წარმომადგენლები ეწევიან დღეს ბრძოლას საერთაშორისო დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ, თავს ესხმიან საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. არსებითად, მათ ამოუდგა მხარში ა. დ. სახაროვიც. ახლა მისი სახელი დაკავშირებულია არა მარტო მორიგ ანტისაბჭოურ კამპანიასთან, არამედ იმის ცდასთანაც, რომ კვლავ შეუკეთონ „ცივი ომის“ მიმქრალ კერებს. ა. დ. სახაროვის მოქმედება არ შეიძლება, არ დაგმოს თვითეულმა საბჭოთა ადამიანმა, მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანმა, ჩვენ, საბჭოთა მუსიკოსები, ვიწონებთ ჩვენი პარტიისა და მთავრობის საგარეო პოლიტიკას და ხმას ვუერთებთ ა. დ. სახაროვის საქციელის წინააღმდეგ იმ ბუნებრივ პროტესტს, რომელსაც გამოთქვამს მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა.

ა. ვ. სვეშნიკოვი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი; **ლ. ფ. ოისტრახი,** ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი; **ლ. ბ. კოგანი,** ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი; **ლ. ნ. ოგორინი,** სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, პროფესორი; **ი. ვ. ფლიერი,** სსრ კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი; **ი. ი. ზასი,** სსრ კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი; **ა. ბ. პეიცა,** სსრ კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი.

„რუდე პრავო“ ჩინეთის კომპარტიის X ყრილობის შესახებ

პარაღა, 6 სექტემბერი, (საკდესი). გაზეთმა „რუდე პრავომ“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „რა დარჩა საიდუმლოდ!“.

ალბათ ნორმალურ მოვლენად ვერ ჩაითვლება ის ფაქტი, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის IX და X ყრილობებს უნდა დაეთმოთ ყურადღება ეგრეთწოდებული ფრაქციული ჯგუფებისათვის, რომლებსაც, მაოისტთა ვერსიებით, მეთაურობდნენ მაო ძე-დუნის უახლოესი მოამხრენი. ორივე შემთხვევაში, წერს „რუდე პრავო“, ესენი იყვნენ პეკინის იერარქიის „№ 2 მოღვაწენი“. IX ყრილობაზე გადააყენეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ლიუ შაოცი, X ყრილობაზე პარტიიდან გარიცხეს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლინ ბიაო, აგრეთვე მაო ძე-დუნის პირადი მდივანი და მისი მრავალი გამოსვლის ავტორი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მუდმივი კომიტეტის წევრი ჩენ ბო-და.

მაო ძე-დუნის გუშინდელი თანამებრძოლებისათვის ახლანდელი ყრილობის კომუნიკეში მოცემული თვით დასახიათება — „ხროვა“, „ბურჟუაზიული კარიერისტი“, „რენეგატი“, „მოღალატე“, „გომინდანის ელემენტი“, „მტრის აგენტი“, „ტროცკისტი“, წერს გაზეთი, — საკმაო საბუთს გვაძლევს იმის შესახებ, თუ რა სიმწვავითა და სისასტიკით გამოირჩევა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ახლანდელი ეტაპი.

მაოისტებმა თავიანთი საიდუმლო სხდომას უწოდეს „შეკავშირების ყრილობა, გამარჯვებების ყრილობა“, მაგრამ ამ მტკიცებას თვითონვე უარყოფენ X ყრილობის მსვლელობით.

ხელმძღვანელობის კრიზისის ძირითად მიზეზად, განაგრძობს „რუდე პრავო“, ჯერ კიდევ რჩება საკითხი მემკვიდრის შესახებ, საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ ჩაუდგება სათავეში ჩინეთის კომუნისტურ პარტიას მაო ძე-დუნის შემდეგ. ჩინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობამ ეს პერსპექტივა, როგორც ცნობილია, დაუტოვა ლინ ბიაოს, ეს დებულება წესდებამაც კი ჩაწერა. ახლა მაო ძე-დუნის მოადგილეთა, ესე იგი შესაძლო მემკვიდრეთა სია ხუთ კაცამდე გაფართოდა. მათ შორის პირველი დასახელებულია ჯოუ ენ-ლაი.

ჩინეთის ხელმძღვანელობის კრიზისის მთავარი ფაქტები და მიზეზები, ხაზს უსვამს გაზეთი, არის მაოიზმის იდეურ-პოლიტიკური კრიზისი, რომელიც კიდევ უფრო გაამწვავა ჩინეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობამ.

ჩინეთში ახალი ბიძგი მიიღო სამხედრო ისტერიამ, რომელსაც ქვეყანაში ჯერ კიდევ ეგრეთწოდებული „კულტურული რევოლუციის“ დროიდან აღვივებენ, „ომის შემთხვევისათვის“ და „მოულოდნელი თავდასხმის წინააღმდეგ“ მზადების კვამლის ფარდით მაოისტთა X ყრილობაზე საომარი მოწოდებანი გაიხმოდა არა იმიტომ, რომ თითქოს ჩინეთზე ვინმე აპირებდეს თავდასხმას, არამედ იმისათვის, რომ ადამიანთა, მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშორონ საშინაო პრობლემებს, რომლებიც ჩინეთში საკმაოდ ბევრია.

იმ ძალებს, რომლებსაც პეკინის ხელმძღვანელები საფუძვლიან მშვიდად უერთდებიან, წერს შემდეგ გაზეთი, განეკუთვნებიან მსოფლიო ანტიკომუნიზმისა და ანტისაბჭოურობის ყველაზე აღვირახსნილი წრეები, ხოლო, როგორც პრემიერ ჯოუ ენ-ლაის ამასწინანდელი მრავალი განცხადება მოწმობს, მაოისტები თავიანთ მოკავშირეებს მიაკუთვნებენ ნატოსაც.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობამ კიდევ უფრო გააძლიერა მაოისტთა პოლიტიკური კურსი, რომელიც მიზნად ისახავს ანტიიმპერიალისტური მოძრაობის გათიშვას მსოფლიოში. ეს პოლიტიკა დიდ ზიანს აყენებს ჩინელი ხალხის საარსებო ინტერესებს, რომელსაც, ერთი მხრივ, თავს ახვევენ გაფფთრებულ ანტისაბჭოურობას, ესე იგი მტრობას ქვეყანასთან, რომელმაც ამდენი რამ გააკეთა სახალხო ჩინეთისათვის, მეორე მხრივ კი მან უნდა მიიწონოს ჩინეთის დაახლოება იმპერიალისტურ წრეებთან. სოციალისტური ქვეყნებისა და მოძმე კომპარტიებისათვის, ხაზს უსვამს გაზეთი, ამ გამთიშველი პოლიტიკის შედეგად წარმოიშვა იდეოლოგიური ბრძოლის მეორე ფრონტი.

მაოიზმის სტრატეგიული გეგმა, რომ ჩინეთი გადაქცეიოს მსოფლიო პოლიტიკურ ცენტრად, სრულიადაც არ შეცვლილა. ამ გეგმას საფუძვლად უდევს ანტისაბჭოურობა და ძირგამომთხრელი საქმიანობა რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რიგებში.

ის ინფორმაცია, წერს დასასრულ „რუდე პრავო“, რომელიც მაოისტებმა გამოაქვეყნეს X ყრილობის შესახებ, მხოლოდ ადასტურებს ნამდვილ დასკვნებს. ამასთან მნიშვნელოვან, თუ არა უმთავრეს საკითხად, რჩება საკითხი, თუ სასელდობრ რა დაუმალეს მსოფლიო საზოგადოებრიობას თავიანთ ავანტიურისტულ გეგმებში მიჩქმალვის ამ ოსტატებმა.

„სიგლო“ მაოიზმის ანტიმარქსისტული არსის გამო

სანტიაგო, 6 სექტემბერი. (საკდესი). ჩინეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობის მიერ მიღებული დოკუმენტები კიდევ ერთხელ მოწმობენ, რომ მაოიზმის პოლიტიკა და იდეოლოგია მიმართულია ყველა სოციალისტური ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ, წერს ჩილეს კომუნისტური პარტიის ორგანო გაზეთი

მოსკოვური დღიურები

გვპატიობინებს ჩვენი საპატიო კორესპონდენტი

დ. მაჭავარიანი.

წიგნი ხელის გულზე...

ვ. ი. ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნა დიდი საერთაშორისო გამოფენა „ლენინიანა მინიატიურულ გამოცემებში".

სტენდებზეა 50-ზე მეტი წიგნი, გამოცემული მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში და აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, მონღოლეთში და ბულგარეთში. აქ არის ვ. ი. ლენინის თხზულებანი, მისი ბიოგრაფია, დოკუმენტური მასალები, მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც დიდი ბელადის ცხოვრებაა ასახული.

გამოფენაზე ექსპონირებულია მცირეფორმატიანი და მინიატიურული გამოცემები, რომელთა უმრავლესობა ხელის გულზე თავისუფლად დაიტევს. ყველაზე მცირე მოცულობის წიგნი დიდი გემოვნებით არის გაფორმებული და გამოცემულია ეს არის ვლადიმერ მაიაკოვსკის პოემა: „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი". წიგნი დაბეჭდილია მოსკოვის მეხუთე სტამბაში.

ერმაკოვების ოჯახის იუბილე

ხლრცამმბინატის ქარხანაში კარგად ახსოვთ 1945 წლის გაზაფხული, როცა ალექსანდრა ივანეს ასულმა ერმაკოვამ „გმირი დედის" სპპატიო წოდება დიმსახურა. 11 ვაჟი და ქალიშვილი გაუზარდა მან სამშობლოს! ომის მრისხანე წლებში მკერდით იცავდნენ საბჭოთა მიწა-წყალს მამა — ალექსი ვასილის-ძე ერმაკოვი და მისი ვაჟკაცები. ომის დამთავრების შემდეგ ისევ მშობლიურ ქარხანას დაუბრუნდნენ ერმაკოვები. მამა სამღებრო საამქროს უფროსად მუშაობდა, უმცროსი შვილი ალიოშა კომბინატის კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს...

დღეს საქარხნო კომიტეტი გამოთვალეს, რომ ერმაკოვების ოჯახის შრომითი სტაჟი 170 წელს უახლოვდება. ქარხანაში ხუთი ერმაკოვი მუშაობს. ამ თარიღს კიდევ ერთი დიდი დღესასწაული შეემატა: მრავალრიცხოვანი ოჯახის დინასტიის შემქმნელების ოქროს ქორწილი.

მრავალათასიანმა კოლექტივმა სიხარულით აღნიშნა ეს იუბილე.

სერგო ზაქარიაძის მოსაგონებლად

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური პრემიის ლაურეატის სერგო ზაქარიაძის ნიჭის ბევრმა თაყვანისმცემელმა მოიყარა თავი მოსკოვის მსახიობის ცენტრალური სახლის დარბაზში, სადაც დედაქალაქის თეატრალურმა საზოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო ფართომეტრაჟიან ფილმ „სერგო ზაქარიაძის" შემქმნელ კოლექტივს. ფილმი შეიქმნა საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიაში. დამდგმელი რეჟისორია დიმა ბათიაშვილი....

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა გიორგი ალექსანდრისძე ტოვსტონოგოვმა.

თბილი მოგონებებით გამოვიდნენ კინოხა და თეატრის კრიტიკოსები გ. კაპარელოვი, ა. სკობოდინი და საქართველოს სატელევიზიო ფილმების უფროსი რედაქტორი შ. კიტია.

საღამოს დასასრულს უჩვენეს ფილმი „სერგო ზაქარიაძე".

ქართველი მხატვრის გამოფენა...

ახალგაზრდა მხატვრის ვლადიმერ კანდელაკის ნამუშევრების უკვე კარგად იცნობენ მოსკოვში. 1972 წელს მხატვარმა მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა ფეხჯის ოსტატების საკავშირო გამოფენაში, რომელიც მოსკოვში ჩატარდა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. წელს ეკონომ „სმენის" ინიციატივით მოეწყო ვლ. კანდელაკის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა ჯერ კომბინატ „პრავდის" შენობაში, მეორე კი ლიტერატორთა ცენტრ. სახლში...

მშვიდობის ფონდი, 1973 წელი

ამ ორგანიზაციის მონაწილენი არიან მუშები და კოლმეურნეები, გამოჩენილი მსახიობები და მსოფლიო სახელის აკადემიკოსები, ინჟინრები, მწერლები, მოსწავლეები, პენსიონერები.... საბჭოთა ქვეყნის მოძმე რუსპუბლიკების მილიონობით ადამიანები თავიანთი დანაზოგით ეხმარებიან მშვიდობის საბჭოთა ფონდის კომიტეტს, რომელიც 1961 წელს შეიქმნა...

არ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხო წერილების ის მრავალრიცხოვანი ნაკადი, რომელიც ყოველდღე მოდის მოსკოვში, მშვიდობის საბჭოთა ფონდის სახელზე. აი ერთი მათგანი: „ომმა, რომელიც წლობით გრძელდებოდა, დაანგრია ვიეტნამის ქალაქები და სოფლები, რამდენი შრომა და ჯაფა უნდა დახარჯოს მოძმე ქვეყნის გმირმა ხალხმა, რომ მოიშუშოს ძმის ჭრილობები. გთხოვთ ჩემი სახელით გადასცეთ მეგობრულ ვიეტნამს..." ასე წერს ქ. ლენინგრადიდან მუშა-ზეინკალი პ. ჩეჩნევი, რომელსაც უკვე 10 წელია საბჭოთა ფონდის სახელზე შეაქვს მთელი თავისი ერთი თვის პენსია — 80 მანეთი.

მშვიდობის საბჭოთა ფონდს ყოველმხრივ ხელს უწყობენ საბჭოთა მწერლები, დრამატურგები და მსახიობები. მოსკოვის კულტურის მოღვაწეებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება დასმარებოდნენ ვიეტნამის მშრომელებს. მწერალთა კ. სიმონოვმა საბჭოთა ფონდს გადასცა ჰონორარი თავისი პუბლიცისტური ფილმისა „სხვისი მწუხარება არ არსებობს"; პოეტმა რ. როჟდესტვენსკიმ ფონდს გადასცა ლენინური კომკავშირის პრემია; ესტონელმა მწერალმა ჰონორარი ლიტერატურული კრებულისათვის, დიდი თეატრის სოლისტმა მარის ლიეპამ მთელი ჰონორარი ფილმისა „მეოთხე", რომელშიც იგი მთავარი გმირის როლს ასრულებს და სხვ.



მოსკოვი. სასტუმრო „როსია" და მოსკვორეცკის ხიდი.
ვ. გეგორეანისა და ა. სტუპინის ფოტო (საკადრის ფოტოქრონიკა).



თბილისი დღეს. ს ტ რ ა ტ ნ ე ბ ი: მეგობრობის პროსპექტი — დიღმის საცხოვრებელი მასივის მთავარი მაგისტრალი.

ს. თევზაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჭიდრაობა

მეოთხე ტური

სოჩი. (საკადრი). ჩიგორინის ხსოვნის საერთაშორისო საჭადრაკო შეჯიბრების მეოთხე ტურის შედეგები ასეთია: რუკავინამ (უგოსლავია) დაამარცხა კორენსკა, სპირიდონოვმა (ბულგარეთი) წაიგო სმეიკალთან (ჩეხოსლოვაკია). ყაიმით დამთავრდა რაშკოვსკი-ჰენინგსის (გდრ), სპასკი-სუეტინის, ხოლმოგ-ტალის, საბო (უნგრეთი)-კოროპუსის, ანდერსონ (შვეიცარია)-ფილიპის (ჩეხოსლოვაკია) შეხვედრები. გადადგა ტიმან (ჰოლანდია)-ბალაშოვის პარტია. ოთხი ტურის შემდეგ წინ არის ტიმანი — 2,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

პირველი ქულა

იუგოსლავიის საკურორტო ქალაქ პორტოროუში მიმდინარე სამი გროსმაისტერის დამატებით მატჩ-ტურნირზე ლევ პოლუგაევსკიმ 38-ე სვლაზე დაამარცხა ეფიმ გელერი.

სამი გროსმაისტერი— საბჭოთა მოჭადრაკეები ლევ პოლუგაევსკი და ეფიმ გელერი, უნგრელი ლაიოშ პორტიში, რომლებმაც ბრაწილიის საზონთაშორისო ტურნირში ქულათა ერთნაირი რაოდენობა მოაგროვეს, გაითამაშებენ 12 პარტიას.

ჯერჯეროგით „ვერცხლი"

ბაოფლიოს პირველობაც, რომელიც იუგოსლავიის დედაქალაქში მიმდინარეობს, საბჭოთა მცურავებმა კიდევ ორი ჯილდოს მედალი მოიპოვეს. წლის კრასნოდარელმა ლიუბოვ რუსანოვამ — 100 მეტრზე ბატასის სტილით (1 წუთი და 15,42 წამი) და ჩვენმა ვაჟებმა თავისუფალი სტილით ამანათცურავაში 4X100 მეტრზე (3.31,36). პირველ სახეობაში უძლიერესი იყო რენატა ფოგელი (გდრ)— 1.13,74, ხოლო მეორეში — აშშ-ის ნაკრები (3.27,18).

უმედლებოდ დარჩნენ ჩვენი ტრამპლინიდან მხტომელები: უნივერსიადის ჩემპიონი ვიაჩესლავ სტრახოვი გამოვიდა მეხუთე ადგილზე, ხოლო მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი ვლადიმერ გასინი — მეექვსეზე. აქ უძლიერესი იყო ამერიკელი ფილ ბოგსი.

წყალბურთელთა წინასწარი ტურნირი დამთავრდა საბჭოთა გუნდის გამარჯვებით იუგოსლავიის ნაკრებთან — 6:2. ახლა ჩვენი გუნდი, რომელიც ფინალურ ტურნირში ორი ქულით გავიდა, შეხვდება იტალიის ნაკრებს. 16 მონაწილიდან ბრძოლას ოქროს მედლებისათვის გაიკრეფენ ექვსი ქვეყნის — სსრ კავშირის, უნგრეთის, კუბის, იუგოსლავიის, იტალიისა და აშშ-ის გუნდები.

ფეხბურთი

ყოველთვის ასე, ტორპედოელებო!

გშშინ ქუთაისში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ადგილობრივ „ტორპედოსა" და გთამაშების ერთპირველობულ ლიდერს — კიშინიოვის „ნისტრუს" შორის.

ანგარიში 25-ე წუთზე ხერხაძის ზუსტი გადაცემიდან გახსნა ფუსტვინიძემ, ხოლო როდესაც მატჩის დამთავრებას წამები-და აკლდა, გაბიჩვაძემ მეორე გოლი გაიტანა — 2:0.

მასპინძლები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: გრძელიშვილი, კოსტავა, წვერავა, ქუთათელაძე, ჭოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი (ფარულავა), ქვირია, ფესტვინიძე, ხერხაძე, შელია (გაბიჩვაძე).

ეს იყო სეზონის საუკეთესო მატჩი.

ტანვარჯიში

გაითიაღელთა სასახლეში.

ჩინმბულე სპორტის სასახლე აქვს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანას. ახლახან აქ დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში ცალკეულ იარაღებზე და რეკუპერაციის თასის გათამაშება. ოსტატ ქალთა შეჯიბრებაზე ნრავალჭიდში გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრების წევრმა, ბათუმელმა რ. სიხარულიძემ („დინამო"), რომელმაც 75,5 ქულა მოაგროვა. ოსტატ ვაჟთა ახპარეზობაში ტოლი არ ჰყავდა ჩვენი ქვეყნის სტუდენტთა ნაკრების წევრს, თბილისელ დინამოელს პ. შამუგიას — 106,3 ქულა. გუნდურ ჩათვლაში ქალთა შორის უსიერესი იყვნენ განთიადელები, ვაჟებში კი — დინამოელები.

მრავალჭიდში გამარჯვებულებს წარმატება ხვდათ აგრეთვე შეჯიბრების მეორე დღეს ცალკეულ იარაღებზე გამოსვლისას. განსაკუთრებით ქების ღირსია რ. სიხარულიძე.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

7 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — კინოპრეგრამა, 11.45 — ფერადი ტელევიზია „მხატვრული ფილმი „რუსლან და ლიუდმილა" (მეორე სერია), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.20 — ბავშვებისათვის. „იყო და არა იყო რა"... 18.40 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 19.10 — ბულგარეთის ტელევიზიის პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრცელი" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „განნეირების სადარაჯოზე", 22.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მუსიკალური პროგრამა, 23.30 — სპორტული პროგრამა 1. ევროპის ჩემპიონატი ცხენოსნურ სამჭიდაში (გადმოცემა კიევიდან), 2. ფერადი ტელევიზია. მსოფლიო ჩემპიონატი ცურვაში. (გადმოცემა ბელგრადიდან).

მეორე პროგრამით

17.05 — სკოლების დასახმარებლად — ისტორია (მერვეკლასელთათვის (რუსეთის სახელმწიფო ივანე IV-ის დროს), 17.50 — ფიზიკა (ტემპერატურა. რუსული სკოლების მეცხრეკლასელთათვის), 18.35 — განცხადებები, 18.40 — მოკლემეტრაჟიანი ფილმები, 20.00 — სატელევიზიო დადგმა „სამი წელი", 21.40 — „ჩვენი საუნჯე".

8 სექტემბერი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — გ. კოკილაძე. „კანტატა საქართველოზე", 11.05 — უკრავს ინსტრუმენტული ანსამბლი „ტერცია", 11.45 — ლ. ბეთჰოვენი, მეხუთე სიმფონია და მეორე საფორტეპიანო კონცერტი, 12.45 — „ახალი წიგნები", 13.30 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00—უკანასკნელი ცნობები, 18.45—ქართული ესტრადის ოსტატთა კონცერტი, 19.30 — „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები", 20.30 — ახალგაზრდობისათვის. „სასიქადულო მამულიშვილები" — ს. ჩიქოვანი. 21.30 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „„დინამო" (კიევი)-„დინამო" (თბილისი). შეხვედრის მეორე ნახევრის რეპორტაჟი, 22.15 — მხუბუჭი მუსიკა, 23.30 — ს. ცინცაძე. მეორე სავიოლონჩელო კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

საქართველოს ფეხ-ბურთი

მაქსიმალობენ მეზღვაურები

ფოთის ნავსადგურშიღუსას უშვებენ შორეულ რეისგამოვლილი საბჭოთა და საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის გემები. სატვირთო ოპერაციებზე ყოფნისას მათს ეკიპაჟებს საინტერესო კულტურულ მომსახურეობას უწევენ კულბაზისა და ინტერნაციონალური კლუბის მუშაკები.

მათთვის ეწყობა ლექციებსაუბრები საერთაშორისო მდგომარეობის, საზღვაო ტრანსპორტის განვითარების, ფოთისა და მისი ნავსადგურის, კოლხეთის წარსულისა და მომავლის პერსპექტივების შესახებ.

ამას წინათ ფოთელმა ნავსადგურელებმა მორიგი მასპინძლობა გაუწიეს ბულგარელ მეზღვაურთა დელეგაციას.

კ. კომაპანიძე.

სტუმრად ფერმაში

გურჯაანი, (საკ. კორ.). სოფელ შრომის აგიტმსატვრული ბრიგადა, რომელიც გაერთიანებული არიან ადგილობრივი კულტურული ძალები, ამ დღეებში ეწვია საბჭოთა მეურეობის მეცხოველეობის ფეიმას. ფერძის მუშაკთა ახალი ამოცანების შესაბებ მწყემსებს ესაუბრა მეურეობის პაოტიული კომიტეტის მდივანი ლ. ხიჟანიანი. ეცქიოველებმა მოისმინეს აგრეთვე ცაშუალო სკოლის მასწავლებლის გ. მაისურაძის და სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მ. ბეჟანიშვილის საინტერესო საუბრები.

დაგას შეემატა

ქობულეთი. (საკ. კორ). დაბა ჩაქვის ცენტრს შეემატა ახალი ორსართულიანი უნივერსალური მაღაზია. საკვებო ცენტრის ყველა სექცია და მაღაზია ეკუთვნის თვითმმართველობის ძალოვნებს. დარბაზებშია უახლესი ექსპერიმენტული დანადგარები და მრწყობილობა.

„საქართველოს აგიტატორი" № 17

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის" მორიგი, მეჩვიდმეტე ნომერი.

ავტოგზების ნაკრები ყალაბა

ეძებენ ჩაძირულ გაანძს

დიდი საქმიანობა გააჩაღეს ამერიკის კომპანიებმა, რომლებიც ოქრო-ვერცხლით დატვირთული ჩაძირული ძველ ხომალდებს ეძებენ. ამ კომპანიების გემები, რომლებიც უახლესი ელექტრონული და საყვინთავი მწყობილობით არიან აღჭურვილნი, გულდასმით ჩხრეკენ „ოქროს" ფლოტილიების ჩაძირვის რაიონებს.

ხანგრძლივი ძებნის შემდეგ კომპანია „ტრეეერ სელვორსი" ფლორიდის სანაპიროდან 64 კილომეტრზე თავთხელ წყალში წაიყვა ერთ-ერთ ასეთ დაღუპულ ხომალდს. თუმცა მისი ტვირთი ექვსმეტრიანი შრით იყო დასილული, ფსკერიდან ამოღებულმა ოქრო-ვერცხლის პირველმა პარტიებმა ცხადყვეს, რომ მყვინთავები უქმად არ მუშაობენ, რამდენიმე დღეში კომპანიის მესვეურებმა 750 ათასი დოლარი „გამოიმუშავეს". მთელი ტვირთი კი სარჩევიო დოკუმენტების თანახმად 400 მილიონ დოლარად ფასობს. ჩაძირული გემისაკენ მყისვე გაეშურა ბევრი მარტოხელა გაძლეულის მაძიებელი. მაგრამ ისინი ამაოდ დამრჩნენ. რაიონს დღე და ღამ პატრულობენ „ტრეეერ სელვორსის" კატარღები შეიარაღებული ცვლა მცველებითურთ. ღამამობრი მძლავრი პროჟექტორები წყლის ზედაპირის ყოველ სანტიმეტრს სინჯავენ.

წყალდიდობა

ძლიერი წყალდიდობა ინდოეთის ჩრდილოეთ შტატებში ახალ რაიონებზეც გავრცელდა. ამჟამად სტიქიურმა უბედურებამ მოიცვა მადჰია-პრადეშის, გუჯარათის, დასავლეთ ბენგალიის, რაჯასტანის შტატები.

ინლამბადაში გამოქვეყნდა წინასწარი მონაცემები ზარალის შესახებ, რომელიც წყალდიდობამ მიაყენა სამხრეთ პაკისტანის ფენჯაბისა და სინდის პროვინციებს. მთავრობის მონაცემებით, საერთო ზარალი 250 მილიონ დოლარს აღემატება. დაინგრა 10 ათასი სოფელი, 8 მილიონი კაცი უსახლკაროდ დარჩა. წყალდიდობის შედეგად დაიტბორა 10 მილიონი აკრი ნაფესვი, მოლიანად განადგურდა მოსავალი 1,9 მილიონ აკრზე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲡᲐᲙᲕᲚᲔᲕᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲙᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ:

1. სოფლის მეურნეობის გადგილების, სპეციალიზაციისა და პერსპექტიული დაგეგმვის განყოფილებაში: განყოფილების გამგის 1 საშტატო ერთეული; უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის 3 საშტატო ერთეული.

სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის ეკონომიური ეფექტიანობის სექტორში: სექტორის გამგის 1 საშტატო ერთეული; უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის 3 საშტატო ერთეული.

2. მიწის სავარგულების ეკონომიური შეფასებისა და სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემების განყოფილებაში: განყოფილების გამგის 1 საშტატო ერთეული; უფროსი მეცნიერ თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული; უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის 4 საშტატო ერთეული.

3. საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის განყოფილებაში: განყოფილების გამგის 1 საშტატო ერთეული, უფროსი მეცნიერ თანამშრომლის 2 საშტატო ერთეული, უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის 2 საშტატო ერთეული.

საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებების ეკონომიკისა და ორგანიზაციის სექტორში: სექტორის გამგის 1 საშტატო ერთეული, უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის 2 საშტატო ერთეული.

4. საბჭოთა მეურნეობების წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის განყოფილებაში: განყოფილების გამგის 1 საშტატო ერთეული, უფროსი მეცნიერ თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული, უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის 5 საშტატო ერთეული.

5. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულებისა და ფასების განყოფილებაში: განყოფილების გამგის 1 საშტატო ერთეული. უფროსი მეცნიერ თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული, უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის 3 საშტატო ერთეული.

6. კაპიტალდაბანდებათა და ძირითადი ფონდების ეკონომიური ეფექტიანობის განყოფილებაში: განყოფილების გამგის 1 საშტატო ერთეული, უფროსი მეცნიერ თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული, უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის 3 საშტატო ერთეული.

7. წყალთა მეურნეობის ეკონომიკის განყოფილებაში: უფროსი მეცნიერ თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული, უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის 2 საშტატო ერთეული.

8. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის განყოფილებაში: განყოფილების გამგის 1 საშტატო ერთეული, უფროსი მეცნიერ თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული, უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის 3 საშტატო ერთეული.

9. შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და ნორმირების განყოფილებაში: განყოფილების გამგის 1 საშტატო ერთეული, უფროსი მეცნიერ თანამშრომლის 3 საშტატო ერთეული, უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის 3 საშტატო ერთეული.

10. მეცხოველეობისა და საკვები რესურსების ეკონომიკის განყოფილებაში: განყოფილების გამგის 1 საშტატო ერთეული, უფროსი მეცნიერ თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული, უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის 2 საშტატო ერთეული.

11. სამეურნეო საფინანსო ხელმძღვანელობის ანალიზის განყოფილებაში: განყოფილების გამგის 1 საშტატო ერთეული, უფროსი მეცნიერ თანამშრომლის 2 საშტატო ერთეული, უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის 2 საშტატო ერთეული.

12. ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის გეგმების მეთოდოლოგიის განყოფილებაში: განყოფილების გამგის 1 საშტატო ერთეული, უფროსი მეცნიერ თანამშრომლის 2 საშტატო ერთეული, უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის 2 საშტატო ერთეული.

13. მექანიზებული აღრიცხვის ლაბორატორიაში (ეკონომიურ კვლევაში მათემატიკური მეთოდების გამოყენებით): უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის 6 საშტატო ერთეული.

14. სამეცნიერო ტექნიკური ინფორმაციის განყოფილებაში: უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის 3 საშტატო ერთეული.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ: განყოფილების, სექტორის ან ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორებს ან კანდიდატებს.

უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე — — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორებს ან კანდიდატებს, აგრეთვე დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს.

უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე — ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატებს ან უმაღლესი განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტებს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები კონკურსის დებულებით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად მიიღება ინსტიტუტში (ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 37, კორპუსი 14). ტელეფონი 22-01-02.

კონკურსის ვადაა ერთი თვე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲜᲔ ᲓᲦᲔᲡ

7 სექტემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, ღრუბლის ხეობაში იქროლებს ქარში 10-14 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 25-28, მთაში 20-24 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში მცირე წვიმაა მოსალოდნელი, ალაგ-ალაგ ნისლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 21-25, მთაში 16-20 გრადუსი სითბო.

თბილისში იქნება ცვალებადი მოღრუბლულობა, სუსტი ქარი, ტემპერატურა 23-25 გრადუსი სითბო.

კომუნისტი 380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივ ნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, ოკეანეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443 УЕ 08479

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.